** სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო**

დავით აღმაშენებლის გამზ. **N79**
0102 თბილისი, საქართველო
info@heritagesites.ge

30 / აპრილი / 2025 წ.

№ **17/1280**

KA990164565234325

სსიპ - სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტოს გაყიდვების
მხარდაჭერის სამსახურის უფროსს,
ბატონ ირაკლი ჩიდრაშვილს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი 2025 წლის 30 აპრილის N6/22491 კორესპონდენცია, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, ოქროყანის დასახლებაში მდებარე 831 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.18.01.002.230) პრივატიზების საკითხს.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ 01.18.01.002.230 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 831 კვ. მ. მიწის ნაკვეთი არ ხვდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის რაიმე სახის დაცვის არეალში. თუმცა, საპრივატიზაციო მიწის ნაკვეთი ხვდება ისტორიული ლანდშაფტის დაცვის ზონაში. შესაბამისად, მასზე მოქმედებს „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე და 39-ე მუხლებით გათვალისწინებული რეგულაციები.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, ოქროყანის დასახლებაში მდებარე 831 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.18.01.002.230) პრივატიზების შემთხვევაში, დაცული უნდა იყოს „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით დამცავ ზონებში დადგენილი სამართლებრივი რეჟიმი. ამასთან, უძრავი ქონების შემდგომ განვითარების, მათ შორის, მასზე კანონმდებლობით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების დაგეგმვის შემთხვევაში, საჭიროა ნებისმიერი ქმედება დადგენილი წესით შეთანხმდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორის მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

პაატა გაფრინდაშვილი